№ 231 მთავრობის მოამბე
ყოველდღიური გაზეთი
წელიწადი მესამე
საქართველოს რესპუბლიკა
ფასი 10 მან. ოთხშაბათი ოქტომბერი 13 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
—გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

„მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

926 10—4 **მომარაგების სამინისტრო.**

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობისაიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი 4000 მ.

ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე გადატანის ხარჯისა და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—4 **მომარაგების სამინისტრო.**

სახელმწიფო ოპერა

13 ოქტომბერს 1920 წ.

ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ: სპიშევსკაია, ერმოლინსკაია, პანინა, ოვსიანიკოვა, სარაჯიშვილი, ბალაბანი, ისეცკი, ეზროვი, ქურხული, კურბატოვი.

14 ოქტომბერს 1920 წ.

ჰოფმანის ზღაპრები

16 ოქტომბერს ოპერ. მუშებისათვის

აბესალომ და ეთერი

15 ოქტომ. 1920 წ.

ბალეტის საღამო მორდკინისა

17 ოქტომბერს

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

919 1—1 ოპერის დირექტორი ხ. ი. ველახიშვილი.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

სეზონი 1920—1921 წლისა

პარასკევს, 15 ოქტომბერს

პიესა 3 მოქმედებათ **გუშინდელნი** შალვა დადიანისა

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასილ არაბიძე, სუზანა ბეჟანიშვილი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ან. ქიქოძე, ოლიმპიადა დოლობერიძე, ელენე ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. რეჟისორი მ. ქორელი.

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ანონსი: შაბათს, ოქტომბრის 15 ს „გუშინდელნი“ | კვირას, ოქტომბრის 17-ს „ედიპე მეფე“

936 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს,

რომ სამგზავრო მატარებლების რიცხვის შემცირებისა და ადგილებზე პლაცკარტების მოშლის გამო, სამგზავრო ბილეთების ვისთვისმე შენახვა და რიგ გარეშე გაცემა ან კუპეების საკუთრად დათმობის წარმოება შეწყვეტილია,

რადგანაც ნაადრევად ამ მიზნით ჩაწერა აკვეთილია.

ამის და მიხედვით გზათა სამმართველო სთხოვს ყველა დაწესებულებას და განსაკუთრებულ პირებს კვლავ არ მიმართონ მსგავსი თხოვნით, არამედ შეიძინონ სათანადო ბილეთები გზის სადგურების სალაროებიდან საზოგადო წესის და რიგის ქვეშ.

931 2—2

ტფილისის საბაჟო ამით აცხადებს,

რომ ამა წლის 22 ოქტომბერს საბაჟოს ეზოში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ჩამორთმეული საქონლები: დამუშავებული თამბაქო, კაუსტიკური სოდა, ფართლეულობა და სხვა.

934 3—2

ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიასთან არსებული გამომცდელი კომისია

ამით აცხადებს, რომ გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად, ლათინურ ენაში, ახალ ენების მასწავლებლის წოდებაზე, აფთიაქის მოწაფის წოდებაზე დაიწყება ორშაბათს, 18 ოქტომბერს, 10 საათზე. თხოვნები მიიღება პირველ გიმნაზიაში 18 ოქტომბრამდის. ყოველივე ცნობა იქვე 10-1 საათამდე.

3113 1—1

ფოთის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ფოთის მეორე უბნის სამომრიგებლო უბნისათვის საჭიროა

მომრიგებელი მოსამართლე

ვისაც სურს ეს ადგილი მიიღონ შეუძლია თავიანთი განცხადება საჭირო საბუთებით გადმოგზავნონ ფოთის ქალაქის გამგეობაში. სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა.

938 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

მთავრობის თავმჯდომარისა.

11 ოქტომბერს 1920 წ. № 27.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი თედორეს ძე ჟორდანია განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან, თანახმად მისი თხოვნისა 1920 წლის 2 ოქტომბრიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

იუსტიციის მინისტრისა.

8 ოქტომბერი, 1920 წ. № 360

ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და წარიგზავნოს დროებით ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობის ასასრულებლად ერევნის სასამართლო პალატის ყოფილი წევრი ანდრია ივანეს ძე ლესკვი ამა წლის ოქტომბრის 8-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგისაგან.

8 ოქტომბერი, 1920 წ., № 9744.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით ამა წლის 4 ოქტომბერს მივემგზავრები სოხუმის ოლქში სამსახურის საქმეების გამო.

მინისტრის ამხანაგი **მდივანი.**

საქართველოს სენატისა.

2 ოქტომბერი, 1920 წ. № 11.

ინიშნებიან: ქუთაისის სამომრიგებლო ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ლონგინოზ ერასტეს ძე გრიგოლია ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გიორგი ევგენის ძე დილევსკი ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების წევრად და ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ლავრენტი კიმოთეს ძე ქვანია ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად, ყველანი 1920 წლის ოქტომბრის 2-დან.

გამორიცხულია: ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრთა სიიდგან ვიქტორ მიხეილის ძე ლუნკევიჩი დანიშვნის გამო იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად 1920 წლ. ივლისის 1-დან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

საჩხერის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

მოქალაქე ვიქტორ ივანეს ძე მულაძე დაინიშნოს საჩხერის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნათ 1 ოქტომბრიდან ამა წლისა.

მომრიგებელი მოსამართლე **ალ. ყავლაშვილი.**

ალბულაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ. № 13.

თანახმად თხოვნისა ალბულაღის უბნის სამომრიგებლო სამოსამართლოს გადამწერი თამარ ვახტანგის ასული ბარათაშვილისა ამ ოქტომბრის პირველიდან დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან ავადმყოფობის გამო.

№ 14.

თანახმად თხოვნისა შტატ გარეშე მყოფ მღვდლისა პლატონ სვიმონის ძის ხუროშვილისა, ხსენებული მღვდელი პლატონ ხუროშვილი დანიშნულია ამა პირველ ოქტომბრიდან 1920 წ. ალბულაღის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნად.

ალბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე **ბარათაშვილი.**

ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსისა.

№ 72.

დათხოვნილ იქნეს: ამა წლის 7 სექტემბრიდან ქუთაისის 1-ლი რაიონის მილიციის უფროსი კაპიტონ გიორგის ძე ცავა როგორც არა კეთილ საიმედო პიროვნება.

№ 76.

დათხოვნილ იქნეს: ამა წლის 12 სექტემბრიდან ვანის რაიონის მილიციის უფროსი იუსტინე გიორგის ძე მაჭარაძე, რომელიც პასუხის გებაში ყოფილა მიცემული ყალბი ოქმის შედგენისა და სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის. სალხინოს უბნის მილიციის უფროსობის დროს.

№ 524.

დათხოვნილნი იქნენ: ამა წლის 10 სექტემბრიდან ქუთაისის სამაზრო რეზერვის უმცროსი ქვეითი მილიციონერები: ოქრო-პირ ტყებუჩავა და მიხეილ ქავთარაძე, როგორც არა კეთილ საიმედო პიროვნებანი.

№ 525.

დათხოვნილ იქნეს: სამსახურიდან ამა წლის 13 სექტემბრიდან ქუთაისის სამაზრო რეზერვის უმცროსი მილიციონერი ანთიმოზ მორჩაძე ქრთამის აღებისათვის პასუხის გებაში მიცემით.

მილიციის უფროსი **ახვლედიანი.**

არა ოფიციალური განყოფილება.

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, ქ. ტფილისის მილიციის უფროს და აფხაზეთის კომისარიატს.

სამხედრო მიმღებ კომისიების წევრების დღიურით დაკმაყოფილების საკითხის გადასაჭრელად შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარ კომისიის მიერ იყო გათვალისწინებული შემდეგი: 1. საჭიროდ უნდა იყოს ცნობილი დღიურად დაკმაყოფილება მიმღებ კომისიის თავმჯდომარის, ყველა წევრების, ექიმების და ერობათა გამგეობის საქმის მწარმოებლის, გარდა სამხედრო უწყების პირთა და სამხედრო ექიმებისა. 2. დაკმაყოფილებულ უნდა იყვნენ დღიურად მხოლოდ ის წევრები, რომელნიც მონაწილეობენ დიდ კომისიებში და იმ მცირე კომისიაში, რომელიც არის მოხსენებული სამხედრო სამინისტროს № 31 დასტურლამის მე-3-ე მუხლის 3 განყოფილებაში. 3. ყველა აღნიშნულ პირთათვის დღიური ფული გაცემულ უნდა იყოს მობილიზაციის დროს იმ თანხებიდან, რომელთაც ერობები იღებენ სამხედრო საჭიროებისათვის. გატყობინებთ რა ამას გთხოვთ გვაცნობოთ, მოგეპოებათ თუ არა ზემოხსენებულ კრედიტიდან თავისუფალი თანხა. დადებითი შემთხვევაში რამდენი დასჭირდება ყველა წევრებს დასაკმაყოფილებლად, თუ მივიღებთ 300 მან. დღიურ ჯილდოთ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. **ჭიჭინაძე.**

საბჭოთა რუსეთში.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

მახნო და საბჭოთა მთავრობა.

უკანასკნელ ხანებში ვრანგელის ჯარის უკრაინასთან მოახლოების გამო მახნოს არმიამ სიმპატიით მიხედა წითელთა არმიას. მახნომ აღუთქვა საბჭოთა ჯარის მთავარსარდლებს, რომ იგი მათთან ერთად იბრძოლებს ბარონ ვრანგელის დასამარცხებლად.

გახრწნა და ამბოხებები.

ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ ბოლშევიკები მთლად ჩაიფლნენ ცხოვრების მძვრიე წუმპეში. რაც დრო გადის ისინი უფრო ირყევიან. მთელი ბოლშევიკების ჯარი გახრწნილია. მცხოვრებნი ტერორის ქვეშ იმყოფებიან. ამ ნიადაგზე იზრდება ამბოხებები. ეკონომიური რღვევა, ფინანსიური კრიზისი, ბინების აოხრება, სათბობი მასალის სრული უქონლობა დღეს რუსეთი ნამდვილ ჯოჯოხეთის ქვეყანას წარმოადგენს. ზოგიერთ ადგილებში ხომ ცხოვრება სრულიად შეუძლებელია. მაგალითად პეტროგრადში ვინც ცხოვრობს იმას უნდა რამდენიმე ათასი მანეთი ჰქონდეს შემოსავალი დღეში რომ სიმშილით არ მოკვდეს. პირველ საჭიროების საგნები სულ არ იშოვება. არ არის არც სურსათი, არც ფართლეულობა. ხალხი ტიტველი და მშიერია. ბოლო ხანებში პეტროგრადში კიდევ დიდ შეტაკებას ჰქონდა ადგილი. ქალაქი ზანზარებდა ტყვია—ზარბაზნების ჭექა-ქუხილისაგან. სექტემბრის შუა რიცხვებში ქალების დიდი დემონსტრაცია მოხდა.

ძერჟინსკის პროექტი.

ძერჟინსკი, რომელიც ყველა ჩრეზვიჩაიკების მომწყობ-მეთაურად და სულის ჩამდგმელად ითვლება გამოსცა ახალი პროექტი ჩრეზვიჩაიკების რეორგანიზაციის შესახებ. ხელახლად შემუშავებულია სარევოლიუციო ტრიბუნალის წესები. ძერჟინსკის აზრით მალე დადგება ისეთი მომენტი როდესაც რუსეთი გაიმარჯვებს და ეს გამარჯვება იქნება მხოლოდ ტერორის წყალობით. რუსეთი დიდი საფრთხეა მსოფლიო ბურჟუაზიისათვისო უთქვამს ძერჟინსკის.

სამხედრო ცნობა.

მოლოდეჩნოს და სლუცკის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. სარნის რაიონში სწარმოებს ცვალებადი ხასიათის ადგილობრივი ბრძოლა. ნოვგოროდ-ვოლინის რაიონში მდ. სლუჩზე ჩვენი შეტევა ვითარდება. პროსკუროვის რაიონში არტილერია მოქმედებს. უმიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაბა ზომბხიე (?) აიღო. ალექსანდროვსკის რაიონში, ალექსანდროვსკის დასავლეთით დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულ მტერს ვებრძვით. ცარევო-კონსტანტინოვსკის რაიონში ჩვენი ჯარი აღმოსავლეთით 25 ვერსით წაიწია წინ. ჩვენმა ჯარმა ბერდიანსკი დაიჭირა და წინსვლას განაგრძობს.

პროლეტარული ლიტერატურა.

ოქტ. 10. სრულიად რუსეთის პროლეტარიატის ყრილობა დილის სხდომაზე სანფიევის მოხსენების შემდეგ პროლეტარულ ლიტერატურის განვითარებისა და აღორძინებისათვის საჭიროთ აღიარეს დილეტანტიზმიდან ხელოვნებასა და პროფესიონალიზმში გადასვლა. პროლეტარიატის ცენტრ. კომიტეტთან აუცილებლად უნდა დაარსდეს სალიტერატურო საგამომცემლო განყოფილება, უნდა მოეწყოს უმაღლესი ტიპის ცენტრალური სალიტერატურო სტუდია. სტუდიები უნდა მოეწყოს აგრეთვე ყველგან ადგილობრივათ. მუსიკალურ განყოფილების მიზნების შესახებ ყრილობა ფიქრობს, რომ მუსიკა და ხელოვნების სხვა დარგი უნდა გამოვიდნენ ვიწრო განკერძოების ჩარჩოებიდან და უნდა გაიმსჭვალონ ბრძოლის ხასიათით. სახალხო პროლეტარიატის ცენტრ. კომიტეტთან არსდება მუსიკალური განყოფილებაც. კლუბების საკითხში მიიღეს დადგენილება რომლის ძალითაც პროლეტარული კლუბები დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს.

დასავლეთის ფრონტი.

ოლევსკის რაიონში თავგანწირული ცვალებადი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. ნოვგოროდ ვოლინსკის აღმოსავლეთით 10 ვერსზე ჩვენ დავიკავეთ რამოდენიმე სოფელი. ნოვოუშიცის რაიონში ცვალებადი ხასიათის განწირული ბრძოლები სწარმოებს.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ბოლშევიკების წინააღმდეგ.

„ქურალ დე-ლამა“ იუწყება: კერენსკის დროის ყოფილმა სამხედრო მინისტრმა შეადგინა ვარშავაში რუსთა ეროვნული კომიტეტი, რომელიც ბოლშევიკებთან საბრძოლველად მოხალისეებს აგროვებს.

ტყვე ბოლშევიკები.

ბოლშევიკ ტყვე ჯარის კაცები სრულიად განკერძოებულნი არიან. პრესა იუწყება: მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ბოლშევიკური განცხადებანი არ იქნეს გავრცელებული. დანციგთან ნორმალური მიმოსვლა სწარმოებს.

ბავარიის სოც. პარტია და მესამე ინტერნაციონალი.

ბავარიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო მესამე ინტერნაციონალის წინადადება მასთან შეერთების.

შემარიგებელი პოლიტიკა.

„ჟურნალი დედება“ იტყობინება, რომ საფრანგეთს ამ ჟამად არ შეუძლია დაეხმაროს იტალიას თავის გაჭირვებაში. რომის გაზეთი „მესაჯერი“ სწერს: საფრანგეთი ჯერ კიდევ მილიტარული სულითაა გაჟღენთილი, იტალია კი სამშვიდობო ეკონომიურ პოლიტიკისაკენ მიისწრაფის. ამიტომაც იტალია არჩევს რომ რუსეთისა და გერმანიისადმი შემარიგებელი პოლიტიკა დაიცვას.

იტალიის პასუხი ამერიკისადმი.

გაზეთი „მესაჯერი“ აგვისტოს 23 სწერს: „იტალიის ელჩმა ვაშინგტონში ამ დღეებში აცნობა ბ-ნ კოლბის იტალიის მთავრობის პასუხი ამერიკის მთავრობის მიერ რუსეთის საკითხის შესახებ გამოგზავნილ ნოტაზე. ეს პასუხი გაცემულ იქნა სიტყვიერათ ხოლო გრაფ სფორცამ დაიტოვა უფლება შემდეგში ამ საკითხზე იტალიის შეხედულობის უფრო გარკვევით წერილობით გადაცემისა.

რამდენადაც ჩვენ გავიგეთ იტალიის ელჩს განუცხადებია ბ-ნ კოლბისათვის, რომ იტალიის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო ამერიკის ნოტა, ვინაიდან მას სურს ჰქონდეს მუდმივი თანხმობა მოკავშირეებთან. აგრეთვე იცოდეს ამერიკის ყურადსაღები შეხედულობა რუსეთის საკითხზე. თავის მხრით გრაფ სფორცას შეუძლიან მხოლოდ განიმეოროს ის განცხადება, რომელიც გააკეთა მან პარლამენტში საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის საკითხის გამო. ვსცნობთ რა, რომ ამ ჟამად საბჭოთა მთავრობა წარმოადგენს უძლიერეს უფართოეს ძალა-უფლებას რუსეთში საჭიროდ მიგვაჩნია დავამყაროთ მასთან რეგულიარული და ნამდვილი ურთიერთობა და მოვხსნათ ბლოკადა მთელი თავისი პოლიტიკური შედეგებით. ამავე დროს იტალიას არ შეუძლია შესწორება არ გაუკეთოს ამერიკის ნოტის იმ ნაწილს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობას. იტალია, რა თქმა უნდა, აღიარებს რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას, მაგრამ არ შეუძლია წინააღმდეგ ეს ბალტიისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობას.

გაზეთი „მესაჯერო“ სწერს: ეს ნათელი პასუხი, რომელიც გასცა გრაფი სფორცამ ბ-ნ კოლბის წარმომადგენელს იმ შორსა და ლოღიკურ ხაზს, რომელიც უნდა გაატაროს იტალიამ თავის საგარეო პოლიტიკაში რუსეთის საკითხის შესახებ. ეს პოლიტიკა ევროპის მდგომარეობის საკითხში ხელმძღვანელობს საერთო რეალისტურ შეხედულებით და იტალიას არ შეუძლია გადაუხვიოს მას აღმოსავლეთ ევროპაში მომქმედ ადგილობრივ ხასიათის წარმავალ მოვლენათა გავლენით.

რუსეთ-პოლონეთის ზავის საფუძველი.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ რუსეთ-პოლონეთის ზავი დამყარებულია შემდეგ საფუძველზე: სამხედრო მოქმედება უნდა შეწყდეს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან 144 საათის განმავლობაში. არ უნდა იქნას წამოყვანილი ტყვეები და საწინდრები ორივე მხარემ უნდა დასცალოს ხელშეკრულებაში აღნიშნული ხაზი 24 საათის განმავლობაში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

ზარალის ანაზღაურების ნოტა.

გარეშე საქმეთა მინისტრმა სიმონსმა ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩს ლორანს, უკანასკნელის პარიზში გამგზავრების წინ გადასცა ნოტა ფინანსების და ზარალის ანაზღაურების საკითხების გამო გერმანელ და ფრანგ ექსპერტების ოფიციალურ თათბირის დანიშვნის შესახებ, რათა ამ გზით მოამზადოდეს ნიადაგი მომავალ საერთაშორისო კონფერენციისათვის.

ბერლინის გაზეთების გაფიცვა.

ბერლინის გაზეთების გაფიცვა ძლიერ გაიზარდა. ტეხნიკურ სამუშაოს აღმასრულებელი მოსამსახურენი გაფიცულთა მაგივრად მუშაობაზე უარს აცხადებენ. ბერლინის გამომცემლებს საერთო ძალღონით სურთ ერთი საერთო გაზეთის გამოშვება. თუ საჭიროებამ მოითხოვა გაზეთი ბერლინს გარეშე დაიბეჭდება. მეორე მხრივ მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, მუშების და მოსამსახურეების სოლიდარობის უფლებას და სხვას. ამ ჟამად გამომცემელთა მიერ დათხოვნილია 16 ათასი მოსამსახურე და მუშა. სოციალისტური და უდიდესი გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ბრძოლას შრომის და კაპიტალის შორის სერიოზული მნიშვნელობა აქვსო.

საპროტესტო მიტინგი.

დამოუკიდებელი სოციალისტები ხვალისთვის იწვევენ 15 საპროტესტო მიტინგს იმ რეაქციონერთა წინააღმდეგ, რომელთა გამოისობითაც პრუსიის სეიმში გავიდა რეზოლიუცია მუნიციპალიტეტში ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ, რაც უმთავრესად მუშების წინააღმდეგ არის მიმართული.

მოხსენება ომის შეჩერების შესახებ.

„მილიტერი პოლიტიკალი“ კორესპონდენტი ბეჭდავს მოხსენებას, რომელიც 1917 წელს ზაფხულში ყოფილმა კრონპრინცმა გადასცა ყოფილ იმპერატორს, კანცლერს და უმაღლეს მთავარ სარდალს, და რომელშიაც იგი სამხედრო მასალის ნაკლულოვანების და ფართო მასების ზავის ჩამოგდების სურვილის გამო, ადამიანთა ძვირფას სიცოცხლის გადარჩენის გამო მოითხოვდა შეტევის შეჩერებას და შედგომოდნენ ზავის ჩამოსაგდებად ნიადაგის მომზადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობდა კრონპრინცი 1918 წელში გერმანია ჩავარდება საშინელ მდგომარეობაშიო.

ბელგიის პრემიერი.

ბელგიის პრემიერი დელაკრუა კვირას ლოიდ ჯორჯთან სათათბიროდ ლონდონში ჩავიდა.

საბერძნეთის მეფის ჯანმრთელობა.

თანახმად ათინიდან მოსულ ცნობებისა საბერძნეთის მეფის ალექსანდრის ჯანმრთელობა გაუარესდაო. მოელიან პარიზის მედიკურ ფაკულტეტის პროფესორის ვიდოლიას ჩამოსვლას.

საფრანგეთის პრესა რუსეთ-პოლონეთის ზავის შესახებ.

საფრანგეთის პრესა იუწყება: საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის შორის დროებითი ზავი კიდევ არარის ხელმოწერილი. ორთავე დელეგაციის სეკრეტარიატები დაბრკოლების შესახებ იტყობინებიან.

ვილნო პოლონეთის ჯარს არ დაუკავებია.

კოვნოდან იტყობინებიან, რომ ვილნო პოლონეთის ჯარმა დაიკავაო. პოლონეთის მთავრობა უარყოფს ამ ცნობას. შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად ვილნოში ხალხთა ლიგის კომისია გაემგზავრა.

რუსეთ-პოლონეთის ზავის შესახებ.

„დეილი ხრონიკლი“ იუწყება: წინასწარი ზავს რიგაში ორშაბათს მოაწერეს ხელიო. მეორე დეპეშაში კი აღნიშნულია, რომ პოლონეთსა და რუსეთს შორის საქმე გართულდაო.

სომხეთში.

გარეშე საქმეთა მინისტრის მოწოდება

სომხეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ასეთი შინაარსის მოწოდებით მიმართა ხალხს: სომხეთის ხალხმა ოსმალეთის მთავრობის ტირანიისა და სიმკაცრესთან ას წლობით ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა, განთავისუფლა თავი უცხოეთის მონობის უღლისაგან და მოაწყო თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფო: აგვისტოს 16, სევრში საჯაროდ იცნეს სომხეთის დამოუკიდებლობა როგორც დიდმა სახელმწიფოებმა, ისე ამ სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დამდებ ოსმალეთმა, რომელმაც სომხეთის სასარგებლოდ უარი განაცხადა ვანის, ბითლისის, ერზერუმის და ტრაპეზუნდის ვილაიეტებზე. ახლა სომხეთი მოელოდა ამერიკის შეერთებულ შტატების უმაღლეს არბიტრისაგან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების საბოლოოდ გამიჯვნას. ამ მიზნით სომხეთი შეუდგა მშვიდობიან კულტურულ მუშაობას ოსმალთა მიერ დანგრეულ ადგილების აღსადგენათ. სომხის გლეხობა ასი ათასობით დაეწაფა ყანის მუშაობას. ეს მუშაობა უეცრად შესწყდა და ხალხი იძულებული გახდა, ისევ იარაღისათვის მოეკიდა ხელი თავის განთავისუფლებულ სამშობლოს დასაცავად. ოტომანიის მთავრობამ სექტემბრის 28 დაარღვია თავის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ვერ შეურიგდა სომხეთის თავისუფალ არსებობას და თავისი არაოფიციალურ აგენტის ქემალ ფაშის სახით დასძრა თავისი ჯარები სომხეთის რესპუბლიკის შუაგულ ადგილისაკენ ყარსის, ოლთის, არტაანის, ყაგიზმანის და სურმალინის რაიონებისაკენ სომხეთის რესპუბლიკის საბოლოოდ გასანადგურებლად. ოსმალთა ძალების შემოტევის გამო დასხნლებულ რაიონის მცხოვრებლები იძულებული შეიქმნენ ისევ დაეტოვებიათ ას წლობით მოვლილი და მოშენებული მამულები. ახალი საფრთხის წინ თავისი სამშობლოს დასაცავად სომხეთის ხალხი ისევ აღსდგა, როგორც ერთი კაცი. ამ კრიტიკულ დროს სომხეთის მთავრობა წითელი სომხეთის ხალხის სახელით მიმართავს განათლებულ კაცობრიობასა და მათ მთავრობებს პროტესტით ოსმალეთის ნაციონალისტების ბნელ განზრახვების საწინააღმდეგოთ და მოწოდებით რომ დაეხმარონ ამ ბრძოლაში სომხეთის ხალხს. უკანასკნელი დარწმუნებულია, რომ მას არ დატოვებს განათლებული კაცობრიობა უყურადღებოდ.

ახალი ამბები

◆ **მთავრობის თავმჯდომარის შეურაცყოფისათვის.** ა. წ. 6 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში, გარეშე პირთა თანადასწრებით გამართულ ოფიციალურ თათბირის დროს, საზოგადოება „ჩემო“-ს წარმომადგენელმა კონსტანტინე თუმანიშვილმა დასწამა მთავ. თავმჯდომარეს კერძო პირის ინტერესების დაცვა წინააღმდეგ სახელმწიფოისა. მთავრობამ დაინახა რა ბ-ნ თუმანიშვილის საქციელში მთავრობის თავმჯდომარის შეურაცყოფა, ამავე სხდომის დადგენილებით მიუსაჯა თუმანიშვილს ექვსი თვის ვადით ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრება.

◆ **მთავრობის თავმჯდომარესთან.** ოქტომბრის 11 მთავრობის თავმჯდომარე ინახულეს: საქართველოში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბეკზადიანმა სამხედრო მინისტრის, ამხანაგმა ოდიშელიძემ, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ქარცივაძემ იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ, გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ და ქალაქის თავმა.

◆ **უკანონო მოქმედების გამორკვევა.** თანახმად სენატის ბრძანებისა, სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის უკანონო მოქმედების გამოსარკვევად, სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის საერთო ყრილობამ სიღნაღში პალატის წევრი სარაჯევი გააგზავნა.

◆ **ბათომის ოლქის სასამართლოს** განემარტა, რომ ბათომის საოკუპაციო (ინგლისის) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეში სისრულეში შეიძლება მოიყვანოთ იმ შემთხვევაში, თუ ის რესპუბლიკის მოქმედ კანონებს არ ეწინააღმდეგება.

◆ **ნოტარიული წესდება.** სამოსამართლო პალატასთან პალატის თავმჯდომარის გელოვანის თავმჯდომ რეობით შესდგა კომისია ნატარიული წესდების შესამუშავებლად.

◆ **ავიაცია.** ოქტომბრის 9 სამხედრო მფრინავებმა სტროევმა, ლეიტენანტმა ციციანოვმა და მფრინავმა მოროზოვმა იტალიიდან ახლად ჩამოტანილ ჰაეროპლანების გამოს ცდელათ ფრენა მოაწყვეს. მფრინავებმა დიდი სისწრაფით იფრინეს. ჰაეროპლანები კარგი გამოდგა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ დაასრულა ცნობების შეკრება რესპუბლიკაში არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა აგვისტოში მუშაობის შესახებ. აგვისტოში მიღებულ და გადაგზავნილ იქმნა (მათ რიცხვში ბანდეროლური და პერიოდული გამოცემანი) 984.549 ივლისის თვესთან შედარებით გადაგზავნილ იქმნა 60.254 წერილით მეტი შეკვეთილი წერილი კი 42.477 გადაგზავნილა.

◆ **მომრიგებელ კამერაში საქმის გახარჩევად.** პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა შრომის სამინისტროს მიმართა შეკითხვით: რა ზომებია მიღებული სახელმწიფო დაწესებულებების, ადმინისტრაციასა და მოხელეს შორის უთანხმოება, რომ მომრიგებელ კამერაში იხჩეოდეს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმეებთან ერთადო. შრომის სამინისტროს სეკრეტარიატმა განუმარტა, რომ დამფუძნებელ კრების დადგენილებით ასეთ საქმეს იხილავს შრომის სასამართლოები და მის დაარსებამდე კი სამომრიგებლო სასამართლოებიო.

◆ **შეცდომის გასწორება.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ბრძანებაში ამა წლის 9 ოქტომბრის თარიღით მისამართში შეცდომით არის ნათქვამი „ბათომის საგანგებო კომისარს“ უნდა: „ბათომის ქალაქის მილიციის უფროსს“.

ტფ. ქალაქის საბჭოში

საბინაო საკითხი.

ქალაქის საბინაო საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ მის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია შემდეგი სახით:

1. მოქალაქეთა იძულებითი გადასახლება აკრძალულია. შენიშვნა: პირველი მუხლი არ შეეხება იმ მოქალაქეთა ბინებს, რომელნიც საჭირო იქნებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათათვის. 2. ბინები, რომელნიც განთავისუფლების თანავე გადადიოდა ქალაქის გამგეობის განკარგულებაში და იბეჭდებოდა დღეიდან ანგარიშიდან იხსნება და ბრუნდება მეპატრონეთა განკარგულებაში. 3. ბინები და ოთახები აიღება ანგარიშში განსაკუთრებული წესით ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე. 4. ბინები და ოთახები მიეცემათ ა) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ, ბ) ისეთ პასუხ-საგებ თანამდებობის ან სპეციალისტ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც ქალაქში სრულიად არ აქვთ ბინა, ხოლო მათი ყოფნა ქალაქში აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმისათვის. ასეთი საჭიროება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულ უნდა იქნას სათანადო უწყების ან დაწესებულების უმაღლეს ორგანოსაგან. მეოთხე მუხლში მოხსენებულ პირთ ბინები მიეცემათ ჩასახლების შევიწროების წესით, რომლის ნორმებსაც იმუშავებს საბინაო განყოფილება. ქალ. საბჭომ ეს პროექტი მიიღო.

პურის მიწოდება მუშებისათვის.

ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ ტეხნიკურ ზედამხედველობის აგენტებისათვის მთელი რიგი ინსტრუქციებისა დაამუშავა. ინსტრუქციების მიზანია წისქვილების მუშაობის ნაყოფიერების გაზრდა, რათა მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის პურის მიწოდების საქმე გაუმჯობესდეს. ინსტრუქციები ვალდებულად ხდიან ტეხნიკურ ზედამხედველობის აგენტებს თვალყური ადევნონ და არ შეაჩერონ წისქვილების მუშაობა. მათვე ევალებათ გამაფრთხილებელ ზომების მიღება, რომ წისქვილის მუშაობა არ შეჩერდეს. აგენტებმა უნდა ადევნონ თვალყური რათა წისქვილებზე არ დაიფქვას გაუწმენდელი ხორბალი და სხვ.

ერობა

ქუთაისის ერობის საქმიანობის ანგარიში.

მივიღეთ მომსხო ტანის წიგნი—„ქუთაისის ერობის 1920 წ. შემოსავალ-გასავლისა“; წიგნში დაწვრილებითაა აღნიშნული ერობის საქმიანობა და მისი ფინანსიური მდგომარეობა. ერობის გამგეობას კარგად ქონია გათვალისწინებული თავის სამოქმედო გეგმა, რაც ნათლად სჩანს წიგნის წინასიტყვაობიდან, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „წინათ თვითმართველობითი ორგანო, დღეს მმართველ ორგანოდ იქცა, ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქციები სავსებით ადგილობრივ ერობებზე გადავიდა; ის დღეს ერთად-ერთი ორგანოა, რომლის საშუალებით ჩვენ ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოებს შეუძლიათ თავის გადაწყვეტილების და დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

დღეს ადგილობრივი ერობა ყველაფერია. სწავლა-განათლება და ხალხის ჯანმრთელობა, წესიერება და მშვიდობიანობა მაზრაში, მცხოვრებლების ეკონომიური ალორძინება და გაუმჯობესებული საწარმოო იარაღთა შემოღებით შრომის განაყოფიერება, სოფლისა და სამაზრო გზების მოწყობა და მათზე იაფი მიმოსვლის საშუალების შემოღება, სამშობლოს დასაცავად ჯარის-კაცთა დროზე და წესიერად შეკრება და მათ ოჯახებზე ზრუნვა, იაფ ფასებში სანოვაგის ხალხისათვის მიწოდება და ბაზრის გამონახვა იმ საგნებისათვის, რომელსაც ადგილობრივათ ამუშავებენ; ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ დღეს ადგილობრივ თვითმართველობის საზრუნველ საგნებს შეადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ამის რიგიანად მოწესრიგება და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება ფრიად ძნელია ისეთი ორგანიზაციისათვისაც კი, რომელსაც რამოდენიმე ათეული წელი უმუშავნია და ერთგვარი გამოცდილება და ტრადიციაც აქვს. რაღა ითქმის იმ ორგანიზაციებზე როგორიც ჩვენი ერობებია, რომელთაც არა თუ არავითარი გამოცდილება არ ქონდა, უბრალო საჭირო იარაღებიც კი არ მოეძებნებოდა მუშაობის დასაწყებად.

შემდეგ მოყვანილია დაწვრილებით ცნობები ცალ-ცალკე თუ რა გააკეთა ერობამ ამა თუ იმ დარგში, მოგვყავს ზოგი მათგანი შემოკლებით. სულ ქუთ. სამაზრო ერობაში ყოფილა 42 თემი. გამგეობას სათანადო ყურადღება მიუქცევია ერობის ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით მიუხედავათ ათასგვარ დამაბრკოლებელ პირობებისა დაუარსებია: ხეტყის ქარხანა ბაღდათში, პატარა ხის ქარხანა აჭარეთში, მელნის ქარხანა, რომელიც აკმაყოფილებს ქუთაისის დაწესებულებების მელნის მოთხოვნას და ბევრ მელანს აგზავნიან აგრეთვე მაზრის გარეშე, პირველ ხარისხოვანი სტამბა, სადაც იბეჭდება სახელმძღვანელო და სახალხო საკითხავი წიგნები; რამოდენიმე ადგილას ამზადებენ საკასრე ტკეჩებს; აქვთ მოწყობილი ტრანსპორტი, სადაც მუშაობს 21 ცხენი და 5 წყვილი ხარ-კამეჩი; ტრანსპორტს გადააქვს, როგორც ერობის, ისე კერძო პირთა საქონელი. აქვს ერობას აგრეთვე ცენტრალური სააფთიაქო საწყობი, სადაც ძევს რამოდენიმე მილიონად სალირალი საქონელი; თემების საშუალებით იძენს ნიგვზის ხეებს, ნიგოზს, თხილს, ჯაგარს და სხვა ნედლ მასალას, რაც კი მოიპოვება ბაზარზე; სამაგიეროდ ერობა აწვდის თემებს იაფ ფასებში ნავთს, მარილს, სიმინდს, საპონს და სხვა საწოვაგეს; ერობა ამ დღეებში აამუშავებს საკუთარ ორ თვალიან წისქვილს. ყველა ამ ოპერაციებიდან ერობა მოელის 39,050,071 მან. 31 კაპ., რომლიდანაც ამ წლის შემოსავალში ჩარიცხულია 27,555,167 მან. 01 კაპ. დანარჩენი კი გადადებულ იქნება წარმოების განსავითარებლად.

მთელი ამ წლის შემოსავალი ერობას ნავარაუდევი აქვს 75,670,623 მან. 71 კ. ამ თანხას თუ გამოვაკლებთ 24,892,544 მან. 07 კ. რომელსაც მთავრობა აძლევს დახმარებად მილიციისა და სკოლების შესანახად, მაშინ თვით ერობის საკუთარი შემოსავალი უდრის 50,778,079 მან. 64 კ.; მაშასადამე ნახევარზე მეტს ამ თანხისას აძლევს ერობას წარმოება.

მაგრამ არც სხვა დარგი დაუტოვებია ერობას უყურადღებოდ: ერთი წლის განმავლობაში გაუხსნია 37 ახალი პირველ დაწყებითი სკოლა, არსებულ სკოლებთან მოუწყვიათ პარალელური განყოფილებანი, ერობას განზრახვა ჰქონია წელს კიდევ გახსნას რამდენიმე ახალი სკოლა, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება სავალდებულო და საყოველთაო სწავლის შემოღება მაზრაში. ერობის დაარსებამდე მაზრაში ყოფილა 320 მასწავლებელი, დღეს კი მათი რიცხვი 600-დეა. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი შარშან უდრიდა 12, წელს 27-დეა.

სახალხო ჯანმრთელობისათვისაც სათანადოდ უზრუნვია ერობას; ამ მიზნით მაზრაში გაუხსნია 4 საავადმყოფო და 15 საექიმო პუნქტი; ერთი პუნქტი მოდის დაახლოებით ორ თემზე. ერობას აზრად აქვს კიდევ გახსნას წელს სამი პუნქტი. ხალხის ჯანმრთელობის ზრუნვისათვის ერობას აქვს სულ გადადებული 12,426,472 მან. 92 კ.; ეს თანხა სრულიად უნდა გავიდეს ერობის სალაროდან, რადგანაც მთავრობა ამ საგნისათვის არ იძლევა დახმარებას.

აგრარული რეფორმის განსახორციელებლად საკმაო მზრუნველობა გამოუჩენია ერობას; სულ მიღებულია 208 წვრილი მემამულის ადგილები, რომლის საერთო სივრცე უდრის 145-7 დეს. და 1505 საჟ. სამაზრო ერობამდე კონფისკაციას აწარმოებდა აგრეთვე საგუბერნიო და სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობები, რომლებსაც მიუღიათ ფონდში 6176 დეს. და 984 საჟ.; დღემდე სულ სახელმწიფო ფონდში ირიცხება 7634 დეს. 89 საჟ.

მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიური აღორძინებისათვის მაზრა დაყოფილია აგრონომიულ რაიონებად. სამეურნეო მუშაობას ხელმძღვანელობს ორი აგრონომი და ექვსი აგრონომიული ტეხნიკი. იმ ადგილებში, სადაც მინდვრის კულტურის მიხედვით მოთხოვნილება დიდათ არსებობს სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტი.

ერობა იძენს სხვა და სხვა სათესლეს და შემდეგ იაფ ფასებში აწვდის მცხოვრებთ. ერობას აქვს ორი სანერგე: ქორეისუბნის და წყალწითელის. ორივე დიდ სამსახურს უწევს მეურნეობას და მებაღეობას. აგრონომიულ პუნქტებზე იმართება სამეურნეო კითხვებზე საუბარი. ერობას ყურადღება მიუქცევია აგრეთვე მეფუტკრეობისათვის—შეუძენია ზეკარში 50 სკა. ეკონომიურ აღორძინებისათვის ერობას გადადებული აქვს წელს 279689 მან.

ერობას არც ვეტერინარია დაუტოვებია უყურადღებოდ: აქვს ხუთი სავეტერინარო რაიონი, ოთხში მოწყობილი საქონლის საავადმყოფოები. ვეტერინარიის წყალობით მაზრაში მოისპო საქონლის ჭირი, რომელიც ამ ერთი წლის წინად მეტად გავრცელებული იყო. ამბულატორიაში კარგად მიდის მუშაობა და ხალხიც თანდათან ეჩვევა საქონლის ექიმობას. სავეტერინარო საქმისთვის გადადებულია 977080 მანეთი.

სამწუხაროთ ერობას გზების შენება-შეკეთებისათვის ვერ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება, რაც აიხსნება ერობის განმარტებით, ფინანსიური კრიზისით, მაგრამ ერობებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ შარა გზებს, საერთოდ გზატკეცილებს დიდი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამისთვის გზებსაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, მით უმეტეს დღეს, როცა გამოიცა კანონი საგზაო ბეგარის შესახებ, უფრო ადვილად მოსაგვარებელია ეს საქმე.

წელს ქუთაისის ერობას გადაუდვია გზებისათვის 5093198 მ. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ეს თანხა საკმარისია ხსენებული საგნისათვის, თუ შესაფერ გამჭრიახობას და მეტ თაოსნობას გამოიჩენენ. დასასრულ ერობა დასძენს, რომ მას უფრო ნაყოფიერად შეეძლო ემოქმედა, რომ „საბიუჯეტო უფლების“ უქონლობას და საერთოდ ერობის უფლებრივი მდგომარეობას რომ არ შეეშალა ხელი.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ასეთი ანგარიშების გამოცემა, ის გარდა იმისა, რომ აცნობს ყველას ქუთაისის ერობის საქმიანობას, ამავე დროს შეიძლება იქ მოყვანილი ცნობები და ამა თუ იმ დარგში განხორციელებული მიზნებისათვის მიღებული საშუალებანი სხვა ერობებმაც გამოიყენონ. საერთოდ ერთი ერობის საქმიანობის გაცნობას, მეორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის ყველა ერობები თავის ნამოქმედარის ანგარიშით თუ სხვა საშუალებებით უნდა ცდილობდენ ერთმანეთთან გაცნობას, მჭიდროთ დაახლოვებას, დაკავშირებას.

მუნიციპალ. ცხოვრება

ოზურგეთის ქალაქის საბჭოში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

—ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ 1 აგვისტოდან დაენიშნოს შემდეგი ჯამაგირები:

— გამგეობის მდივანს 6000 მან., საქმის წარმოებელს 3500 მ.ნ., მანქანაზე გადამწერს 2500 მ., ბუღალტერს 6000 მან., კანტორის მოხელეს 3500 მ., ბუღალტ. თანაშემწეს 4200 მ., გადასახადთა ამკრეფს 4000 მ., ბაზრის მეთვალყურეს 3000 მან., იურისკონსულტს 3500 მ., ინჟენერს 7000 მ., გზის მეთვალყურეს 4000 მან., სამეურნეო ნაწ. გამგეს 5000 მ., მეეზოვეს 3000 მ., დარაჯს 2300 მ., მაღაზიის გამგეს 5000 მ., მოლარეს 3000 მან., ნოქარს 3500 მ., ექიმს 5000 მან., ფერშალს 3500 მ., სანიტარს 3000 მ., სასაკლ. მეთვალყურეს 3000 მ., მუშა დამგველს 3000 მან., სამკითხვ. გამგეს 2000 მ., სამკითხვ. დარაჯს 1000 მ., შოფერს 5000 მ., შოფერის თანაშემწეს 2500 მან.

— დაევალოს გამგეობას დაუყონებლივ შეკრიბოს ცნობები სხვა სამაზრო ქალაქებიდან და ცნობების მიღების შემდეგ იმ კომისიასთან ერთად, რომელმაც თვითმართველობის დანარჩენი დარგის მოსამსახურეთა ჯამაგირები შეიმუშავა, გადახედოს ქალაქის მილიციის ძირითად ჯამაგირებსაც და საბჭოს დაუკითხავად გაატაროს ის ცხოვრებაში 1 აგვისტოდან.

— 14 სექტემბრიდან ხორცზე დამტკიცებულ იქნას შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი 1 ხარისხის (არდაგანის) 1 გირვ. 40 მან. ფუთი 1500 მან., 2 ხარისხის (ადგილობრივი) 1 გ. 35 მან. ფუთი 1300 მან., ცხვრის 1 გირვ. 45 მან., ღორის 1 გირ. 45 მან., კამეჩის 1 გირ. 30 მან. ფუთი 1100 მან.

— ლიხაურის თემს მდ. ბჟუჟზე საფეხური ხიდის გაკეთებაში გაეწიოს დახმარება ქალაქის კასიდან ათი ათასი (10,000) მან.

რკინის გზაზე

რკინის გზების ელექტრო-ფიკაცია.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში წარდგენილია პროექტი ხაშურის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს რკინის გზის შტოების ელექტროფიკაციის შესახებ. ამ მიზნისათვის განზრახულია აღმოსავლეთ საქართველოში არსებული მთელი გიდრავლიური ენერგიის ნაციონალურად გამოყენება. გზების ელექტროფიკაციის შემდეგ მთელი გზის, ტფილისიდან მცხეთამდე გასავლელად და უკან დასაბრუნებლად საბარგო მატარებელს მოუნდება 68 წუთი, სამგზავრო მატარებელს კი 40 წუთი. ტფილის-ხაშურის რაიონს შეუძლია გაუშვას 14 წყვილი საბარგო და 7 წყვილი სამგზავრო მატარებელი. ასაქცევთა გამოკლების და გიდრო-ელექტრონულ ძალის მომატების შემდეგ შესაძლებელი იქნება 30 წყვილი მატარებლის გაშვება. შემდეგ მოხსენება ეხება კახეთის რკინის გზის ელექტროფიკაციას, რომლის განხორციელებაც 1926 წლამდე შეიძლება. კახეთის რკინის გზის სამმართველომ წლიურად ბარგის მოძრაობა 12 მილ. ფუთით განსაზღვრა. ამისდა მიხედვით მოხსენებაში გამოთქმულია სურვილი 10 წყვილი მატარებლის მიმოსვლის დაწესების შესახებ, რაც სავსებით დააკმაყოფილებს გზების საჭიროებას. ხმარებაში შემოღებული იქნება მოტორიანი ვაგონები, რომელიც დაიტევს 70 მგზავრს და რომელიც წონად 40 ტონი იქნება. ელექტრონის ენერგიის მოსაწოდებლად მდინარე ხრამზე ან დიბელა-ჩხოზე გიდრო-ელექტრონული სადგური უნდა მოეწყოს. ეს სადგური ენერგიას ტფილის-სანაინის და ტფილის-ფოილოს ხაზს მიაწოდებს. ტფილის-მელაანის ხაზს კი ენერგიას იორზე აგებული ელექტრონული სადგური მიაწოდებს. წიწამურის გიდრო ელექტრონის სადგურმა ენერგია ტფილის-ხაშურის რკინის გზის ხაზს უნდა მიაწოდოს. კახეთის რკინის გზას ენერგიას ალაზანის სადგური მიაწოდებს. პროექტი განმარტებით ბარათში შემდეგი მოსაზრებით არის დასაბუთებული: საქართველოში არ არის ნავთის წარმოება. ცუდია აგრეთვე ნახშირის ღირსება, ამიტომ ისმება საკითხი დიდძალი წყლის ენერგიის—თეთრი ნახშირის გამოყენებისა. თეთრი ნახშირით მდიდრათ არის დაჯილდოებული საქართველო. ამ საკითხს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გზათა ელექტროფიკაციის საკითხს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტში საგანგებოდ განიხილავენ.

სენატი

1920 წლის 14 დღესა, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქ. № 13. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ვასილ კიმოთეს ძის მგალობლიშვილისა, ქუთაისის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის 29 ოქტომბრის 1919 წ. განაჩენზე, რომლითაც მას მისჯილი აქვს ორი თვით ციხეში დაპატიმრება.

საქ. № 15. მაგ. 2. კერძო საჩივარი ბრალდებულ ქრისტო ნიკოლოზის ძე ცნობილაძის, რომელსაც ბრალად ედება სასჯ. დებ. 1180 მუხ. 3 ნაწ. 27 იანვრის ამნისტიის შეფარდების შესახებ.

საქ. № 66. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი გიგა ტიტიკოს ძე შანშიაშვილისა, სიღნაღის მაზრის სამომრ. მოსამართ. ყრილობის 1980 წ. 30 იანვრის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული გორა დათიკოს ძე მოლაშვილი გიგა შანშიაშვილის მოტყუებაზე, თანახმად 173—113 მუხ. სასჯ. წეს. გამართლებულ იქმნა.

საქმე № 83. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ გიორგი და პლატონ ჭიჭინაძეების დამცველის ნაფ. ვექილის შალვა ვლადიმ. ძის ალექსი-მესხიშვილისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1920 წ. 21|22 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი დამნაშავედ არიან ცნობილნი თანახმად მე-9 და მე-2 ნ. 1455 მუხ. სასჯ. დ.

საქ. № 16. მაგ. 2. კერძო პროტესტი ტფ. დროებ. საგ. სას. პროკურორის ამხ. ქელბაქიანის, ბრალდებულ აპოლონ ჟურუშაძის საქმეზე, ტფ. საგანგ. სას. განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ცნობილია დამნაშავედ 1 ნაწ. 347 მუხ. აღნიშნულ სასჯ. დებ. ბოროტმოქმედებაში.

საქ. № 18. მაგ. 2. კერძო საჩივარი სამხედრო პატიმრის ანდრია ხუნდაძის შესახებ იმისა, რომელიც იყო გასარჩ. ა. წ. 22 აგვისტოს არ ეკუთვნოდა განსახილად სამხედრო სასამართლოს.

პროვინციის ცხოვრება

თიანეთი.

ერობის თავმჯდომარე ხაფავა დეპ. საგენტოს დეპეშით აუწყებს: ოქტომბრის 11, სოფელ ოჯოლოში სამაზრო მილიციამ და სახალხო გვარდიამ მილიციის უფროსის ხელმძღვანელობით დაიჭირა ცნობილი ყაჩაღები არაბული, კრუჭუშვილი და შანშიაშვილი.

ახალციხე.

ოქტომბრის 7, ახალციხეს მოვიდა პაპის დელეგატი გაბრიელ მარიონდო. მარიონდოს გადაწყვეტილი აქვს ზედმიწევნით გაეცნოს ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებას.

ახალციხის ახალი ქალაქის თავი ზორიანი თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

ახალციხის მაზრის მილიცია ერობის ხელში გადავიდა. ადმინისტრაციის საქმეს განაგრძობს ბ. მაღლაკელიძე. ის უკვე შეუდგა მაზრის მილიციის რეორგანიზაციას. მყიდველების სიმრავლის გამო ახალციხეში ქართოფილი ძლიერ გაძვირდა.

ახალციხეში მოვიდა დამფუძნებელ კრების წევრი გ. ფალავა, რომელიც დაწვრილებით გაეცნო სამაზრო ერობის მოღვაწეობას. სახალხო გვარდიელთა კრებაზე ფალავამ მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება წაიკითხა.

ოზურგეთი.

ოზურგეთის მაზრის საფონდო მამულების ლალის შესაკრებად მამულები სამ კატეგორიად დაიყო. პირველ კატეგორიაში შედის მამული, რომელიც დესეტინაზე 30 ფუთზე მეტს იძლევა, მეორე კატეგორიაში შედის 20 ფუთზე მეტს და მესამე კატეგორიაში 10 ფუთზე მეტს. პირველ კატეგორიის მიწის დამმუშავებელთ ქცევაზე 900 მან. გადახდება, მეორე კატეგორიით 600 და მესამე კატეგორიით 300 მან.

მილიციაში

დგმურების უწესო რეგისტრაციის გამო.

მე-8 უბნის კომისარმა შენიშნა, რომ ზოგ სახლის პატრონთ მობინადრენი ან სრულიად არ შეაქვთ დავთრებში, ან და იგინი აღნიშნულ არიან ყალბ ცნობებით, როგორც, მაგალითად, წლოვანობის დაკლებით ანუ მომატებით, სხვა და სხვა მიზნით ოჯახის შემადგენლობის რიცხვის გამრავლებით ანუ დაკლებით და, რაც უფრო ყურადსაღებია, არა ნამდვილ [illegible] ქვეშევრდომობის აღნიშვნით.

ვინაიდან ასეთი დაუდევრობა სახლის პატრონთა ხელს უწყობს ქალაქში ბოროტმოქმედთა თავისუფალ თარეშს და ადმინისტრაციას ესპობა საშუალება თვალ ყური ადევნოს მათ და აგრეთვე დროზედ და დაუბრკოლებლივ შეასრულოს სხვა და სხვა დავალებანი, ამისათვის კომისარმა წინადადება მისცა მისდამი რწმუნებულ კომისარიატის ყველა ნაწილთა უფროს მილიციონერთ და მათ თანაშემწეთ დაუყონებლივ შეუდგნენ ყველა საბინაო დავთრების გადაშინჯვას და მათში შეტანილ ცნობების სისწორით აღდგენას, ხოლო იმ სახლის პატრონებზედ, რომელნიც შემჩნეულ იქმნებიან მცხოვრებთა რეგისტრაციის შესახებ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში, შეუდგინონ მათ სათანადო ოქმი ადმინისტრატიულ წესით დასასჯელად.

გაფრთხილება სისხ. სამ. მილიციის მოხელეებს.

სისხლის სამართლის მილიციის, უფროსმა ფაჩულიამ გაფრთხილება მისცა თავის თანაშემწეებს, უფროს აგენტებს, უმცროს მილიციელებს და ფარულ აგენტებს, რომ მათ თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს დამნაშავეთა პირებისადმი არავითარი უკანონო მოქმედება, როგორიცაა მაგალითად ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა და სხვა არ გამოიჩინონ. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ხალხის გულში ჩაინერგოს მტკიცე აზრი და რწმენა იმისა, რომ სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოში არსებობს კანონი და მიზანშეწონილი მდგომარეობა და არა უკანონო მოქმედებანი.

ქურდობა.

7 ოქტომბერს სისხ. სამ. მილიციამ შეიპყრო მ. გ. მგალობლიშვილი, რომელმაც 2.000.000 მანეთად ღირებული ოქრო-ვერცხლის ნივთები მოპარა ვ. ზ. სულუხიას. მგალობლიშვილი გამოტყდა.

განცხადებანი

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სამსონ ნესტორის ძე ქველიძის სახელზე, მიღებული სოფ. მუხლიდან (რაჭის მაზრა) 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3063 3—3

დაიკარგა პასპორტი № 408 სიმონ ბიჭიას ძე მახარაძის სახელზე, მიღებული სენაკის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3065 3—3

დაიკარგა პასპორტი № 234 გრიგოლ იაკობის ძე პეტრენიკოვის სახელზე, მიღებული მარნის თემის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3070 3—3

დაიკარგა ამიერ-კავკასიის ბანკის კვიტანცია № 1494 კოსტა ბახტაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3076 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნე-მეტყველების ფაკულტეტიდან მიღებული მატრიკული № 960 პროკოფი ნიკოლოზის ძე ნემსაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3084 3—3

დაიკარგა მოწმობა ჯარში გაწვევის შესახებ № 21. გიორგი ალექსის ძე გელაშვილის სახელზე, მიღებული ხუნევის თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3080 3—3

დაიკარგა მოწმობა პეტრე ივანეს ძე ნოსაკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან 1920 წ. ივნისის 1-ს გაუქმებულად ჩაითვალოს. 3055 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან ორი თვით შევებულების მოწმობა, მოწმობა სურათით, მიღებული ბათომის საკონსულოდან 1919 წ. და არტელი „ვარსკვლავის" საწევრო წიგნაკი აქსენტი ჯიჯეიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3081 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 5403 მიხეილ წულუკიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3044 3—3

დაიკარგა პარტიული ბარათი № 3, მიღებული მე-5 რაიონიდან, სასურსათო ბარათი № 202, მიღებული კახეთ. რკ. გზის სასურსათო კომიტეტიდან, იარაღის ნებართვა, მიღებული ნავთლუღ კახეთის სახალხო გვარდიის შტაბიდან, პასპორტი, მიღებული დიდი ჯიხაიშის საზოგადოებიდან და პირადობის მოწმობა, მიღებული კახ. რკ. გზის დეპოს უფროსისაგან. ნესტორ ანტონის ძე კოხრეიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3039 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის შესასვლელი ბილეთი № 21 პანტელეიმონ ბერიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3036 3—3

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 156 ვარდენ კიკაჩეიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის ერობის მოსამსახურეთა კავშირის საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3 (უფ.)

დაიკარგა მოწმობა სურათით № 1204 მილიციონერ თადეოზ ახვლედიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3019 3—3

დაიკარგა მატრიკული ეკატერინე სტეფანეს ასული ზილატარიევის სახელზე. მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3098 3—1

დაიკარგა მოწმობა ვლადიმერ გულაევის სახელზე, მიღებული სარეზერვო გვარდიის ორთაჭალის შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3101 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა იპოლიტე სილიას ძე გიორგობიანის სახელზე, მიღებული მეორე რაზმიდან. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3104 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ეუშაკ შალომის ძე ტეცოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3106 3—1

დაიკარგა პასპორტი № 25270 ლიდა პავლეს ასული დორუნოვას სახელზე, მიღებული კავკასიის საოლქო შტაბიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3109 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი მირალი აბდულაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 2662. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3110 3—1

დაიკარგა ტფ. საადგილ. მამულო ბანკის საგირაო ფურცლები და საწინდარი მოწმობა მიცემული დავით გრიგორის ძე ტერ-სააკოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3094 3—1

დაიკარგა გვარდიის ვაგზლის რაიონის შტაბიდან მიღებული წიგნაკი № 50 ბენიამინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3093 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 361 მათე დიომიდის ძე პოლიშჩუკის სახელზე, მიღებული ვარშავაში მესამე უბნის საბოქაულოდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3095 3—1

ტფილისის არტილერიის საწყობის მუშამოსამსახურეთა საქარხნო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ რომ ა. წ. 5 ოქტომბერს არსენალის ბაქანზედ (ტუპიკში) არტილერიის საწყობის სახელზედ მოვიდა ერთი ვაგონი რომელშიაც აღმოჩნდა 110 ტომარა კარტოფილი რადგანაც კარტოფილი ფუჭდება 13 ოქტომბრიდან სამი დღის განმავლობაში გვაცნობოს პატრონმა და წარმოადგინოს ყველა დამამტკიცებელი საბუთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნახსენები კარტოფილი იქნება განაწილებული საწყობის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

საქარხნო კომიტეტი.

3107 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**